გადაწყვეტილება

N გ-21-18/363
17/06/2021

363-გ-21-1-4-202106171534

ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე

I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (N 21-10-1025, 08/06/2021) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, მის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის გამო.

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივ ბარათში (N 21-10-1025, 08/06/2021) აღნიშნულია, რომ დეპარტამენტი ზედამხედველობას უწევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მაუწყებლების ყოველწლიური ანგარიშების წარმოდგენის პროცესს. კერძოდ, კანონის თანახმად, მაუწყებლები ვალდებული არიან ყოველი წლის 1 მაისამდე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარმოადგინონ და საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსონ გასული წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა. რადგანაც, ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ აღნიშნული ანგარიში კანონით დადგენილ ვადაში კომისიაში არ წარმოადგინა, მაუწყებელს 2021 წლის 20 მაისს გაეგზავნა წერილი (რეგისტრაციის N გ-21-

04/1442) და ეთხოვა 5 სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციის კომისიაში წარმოდგენა. ვინაიდან, 5 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წლიური ანგარიში კომისიაში არ აქვს წარმოდგენილი, კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მხრიდან ადგილი აქვს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობას.

კომისია აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხის განხილვა დაინიშნა 2021 წლის 17 ივნისს, 15:00 საათზე, რის შესახებაც ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს“ ეცნობა წერილობითი შეტყობინებით. ამავე შეტყობინებით, კომპანიას განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტებისა და სხვა მასალების გაცნობის უფლება.

ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიერ 2021 წლის 16 ივნისს კომისიაში სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი წერილობითი წლიური ანგარიში აუდიტის დასკვნასთან ერთად (კომისიაში რეგისტრაციის N შ-21-6/2631; 16.06.2021), რითაც კომპანიის მიერ სრულად იქნა აღმოფხვრილი დარღვევა. კომისიის სხდომას ესწრებოდა ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ა. ლაცაბიძე, რომელმაც განაცხადა, რომ წლიური ანგარიში და აუდიტის დასკვნა წარდგენილია კომისიაში.

II. გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N 21-10-1025, 08/06/2021).
2. კომისიის წერილი (N გ-21-04/1442, 20/05/2021) გაგზავნილი ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის“.
3. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიერ 2021 წლის 16 ივნისს კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი წლიური ანგარიში აუდიტის დასკვნასთან ერთად (კომისიაში რეგისტრაციის N შ-21-6/2631; 16.06.2021).
4. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ შესახებ მონაცემები.
5. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინება კომისიის 2021 წლის 17 ივნისის სხდომაზე მოწვევის თაობაზე.

III. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ წარმოადგენს რადიომაუწყებელს (ლიცენზიის ნომერი B12). შესაბამისად, იგი ვალდებულია, შეასრულოს მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.
2. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ დაარღვია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მაუწყებლები ვალდებული არიან ყოველი წლის 1 მაისამდე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარმოადგინონ და საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსონ გასული წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა. შესაბამისად, ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა“ აღნიშნული ანგარიში კანონით დადგენილ ვადაში კომისიაში არ წარმოადგინა.
3. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიერ 2021 წლის 16 ივნისს კომისიაში სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი წერილობითი წლიური ანგარიში აუდიტის დასკვნასთან ერთად (კომისიაში რეგისტრაციის N შ-21-6/2631; 16.06.2021), რითაც კომპანიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სრულად იქნა აღმოფხვრილი დარღვევა.
4. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში იგივე/მსგავსი დარღვევისათვის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არცერთი სახე გამოყენებული არ ყოფილა.

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება

1. ,,მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ეს კანონი, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონები, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.
2. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ფუნქციასა და ვალდებულებას წარმოადგენს მაუწყებლის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი და ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მისთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება,
3. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები; მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტორიზებული საქმიანობის მათთან შესაბამისობა.

4. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ყოველი წლის 1 მაისამდე კომისიას წარუდგინოს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.
5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის/ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს. კომისიის მიერ მაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. კომისია მაუწყებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

კომისიას მიაჩნია, რომ ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიერ ყოველი წლის 1 მაისამდე საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ გასული წლის ანგარიშის აუდიტის დასკვნასთან ერთად კომისიაში წარმოუდგენლობით დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რაც წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კომისიაში წარმოდგენილ იქნა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რითაც კომპანიის მიერ სრულად იქნა აღმოფხვრილი დარღვევა, კომისია უფლებამოსილია ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ სცნოს სამართალდამრღვევად და გაათავისუფლოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 70-ე და 71-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე 98-ე და 99-ე მუხლებისა და VII თავის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად,

გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ ცნობილი იქნას სამართალდამრღვევად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის გამო.
2. ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) გადაწყვეტილები ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.
4. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (თ. კაველიძე) ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ სამართალდამრღვევად ცნობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე მონაცემის კომისიის უწყებრივ რეესტრში შეტანა.
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის“ ჩაბარების დღიდან.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-4 პუნქტისა) დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო. ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი